3533/109-42

23.07.2026

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი (თანახმად იპოთეკის ხელშეკრულებისა #1231233001855, დადების თარიღი: 2022 წლის 27 დეკემბერი და იპოთეკის ხელშეკრულებისა #1231232928485, დადების თარიღი: 2022 წლის 4 თებერვალი) თანახმაა, 01.19.19.004.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მიიღოს მშენებლობის ნებართვა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი განცხადების (განცხადების ნომერი: AR11006487) შესაბამისად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყველა და ნებისმიერი იპოთეკის უფლება დარჩება უცვლელი და არ განხორციელდება უზრუნველყოფის საგნის იმგვარი გარდაქმნა და ცვლილება, რაც შეამცირებს უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას, ან სხვაგვარად დაარღვევს/შელახავს ბანკის, როგორც იპოთეკარის კანონიერ ინტერესებს, ასევე, რომ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების, ან მშენებლობის წარმოების, ან ცვლილებების შედეგად იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა, იპოთეკის საგანის დამატებით ფართობზე და ნაყოფზე, გარდაქმნების შედეგად მიღებულ ნივთზეც სრულად გავრცელდება სს „თიბისი ბანკი“-ს იპოთეკა.“

სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელი :

ვასილი მაისურაძე (პ/ნ: 01011038948)



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
59604919809126

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260555410

რეგისტრაციის თარიღი

30.04.2026 წ

ნოტარიუსი: ლიანა ბუხრიკიძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, N7/პავლე ასლანიდის ქუჩა, N 12, სართული 2, ოფისი N AB-22.
ტელეფონი: 593636310

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაათ აპრილს **სს „თიბისი ბანკის“** (ს/ნ 204854595) გენერალურმა დირექტორმა **გიორგი თხელიძემ** (დაბ. 26.08.1978 წელს, პ/ნ 01005001579) ვასილ **მაისურაძეს** (პ/ნ 01011038948), შემდეგში „რწმუნებულს“ წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **ვასილ მაისურაძე** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის“ სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულებებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, განცხადებებს/წერილებს ცესიის შედეგად უზრუნველყოფის საშუალებების, მათ შორის იპოთეკისა და გირავნობის უფლებების მიღების, განაწილების, გადაცემის ან/და გაუქმების/შეწყვეტის შესახებ, შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სინდიცირების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტ(ებ)ის ერთობლივი დაფინანსების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს/წერილებს, რაც დაკავშირებული იქნება სინდიცირებასთან ან/და მოთხოვნის დათმობასთან ან/და სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტის დაფინანსებასთან და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს „თიბისი ბანკის“ სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;

2. ამ მინდობილობით **ვასილ მაისურაძეს** ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ პირ(ებ)თან ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ნებისმიერი პირის სს „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული ან/და მომავალში წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან ან/და მისი შესრულების უზრუნველყოფასთან.

3. ამ მინდობილობით **ვასილ მაისურაძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის“ ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;

4. მინდობილობა ძალაშია 2027 (ორიათას ოცდაშვიდი) წლის 30 (ოცდაათი) აპრილის ჩათვლით.

5.მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ბუხრიკიძის სანოტარო ბიუროს არქივში.

სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595) გენერალური დირექტორი

გიორგი თხელიძე ----------

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაათ აპრილს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **ლიანა ბუხრიკიძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, N7/პავლე ასლანიდის ქუჩა, N 12, სართული 2, ოფისი N AB-22. მომმართა:– სს „თიბისი ბანკი“-ს (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის” შესახებ, განაცხად ის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B26342025, 17/04/2026. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., N7) **გენერალურმა დირექტორმა გიორგი თხელიძემ**. მან წარმოადგინა მინდობილობა და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დადასტურება.

სანოტარო მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №7

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **გიორგი თხელიძემ** (დაბ.26.08.1978წ. პირადი # 01005001579, მცხ. თბილისი მარო მაყაშვილის ჩიხი N 3 ბ. 11) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ **გიორგი თხელიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლიანა ბუხრიკიძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის გამცემს”.

სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 81.70 /ოთხმოცდაერთი ლარი და სამოცდაათი თეთრი/ ლარი. აქედან 30.00 /ოცდაათი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 31-ე მუხლისა, 11.70 /თერთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა. პლიუს: (35,00) ოცდათხუთმეტი ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507, 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 34-ე მუხლის II ნაწილისა.

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე

შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი